მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი №16

ქ. მარტვილი 24 ნოემბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12:00 სთ-ზე დამთავრდა 15:00 სთ-ზე

რეგისტრაცია გაიარეს: ლევან სურმავა, ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, ელიზბარ ახვლედიანი, შალვა ბახია, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, ირინა გადელია, ირაკლი დიხამინჯია, მინდია გაბისონია, ჯამბულ ხუროძე, გიორგი კოკაია, გიორგი ჯიჯელავა, ბექარ კუკანია, გიორგი ხორავა, შალვა თაფლაძე, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, მიხეილ ნაჭყებია, ზაურ ჯახუა, ელენე კოკაია, ნათია ქაჯაია, აკაკი ხუნწელია და სერგი ფაცაცია.

რეგისტარცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

ასევე ესწრებოდნენ: თორნიკე ჯანაშია-მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი, ბონდო თოფურია- მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ, როლანდ წულაია-მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებულ გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.

დღის წესრიგთან დაკავშირებით რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

მოისმინეს 1: მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ლევან სურმავამ დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით დასვა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 23, წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 4.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2023 წლის 24 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის განკარგულება №39 სხდომის ოქმს თან ერთვის.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;
   /მომხსენებელი - ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
2. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

/მომხსენებელი - ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/

3. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი-თორნიკე ჯანაშია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი/
/მომხსენებელი - ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/
4. მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ;
/მომხსენებელი - როლანდ წულაია,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებულ გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი/
5. „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; /მომხსენებელი - ბონდო თოფურია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ/
6. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
/მომხსენებელი - ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
7. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი - თორნიკე ჯანაშია, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერი./
8. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/
9. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
/მომხსენებელი-ლევან სურმავა, საკრებულოს თავმჯდომარე/

მე-2 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ საკრებულოს წევრებმა კითხვები დაუსვეს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურიას, რის შესახებაც ბონდო თოფურიამ გააკეთა ვრცელი მიმოხილვა, ასევე სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო შესაბამისი კომისიის დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ალექსანდრე გრიგალავამ კმაყოფილება გამოთქვა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულებაზე.

დაადგინეს: მარტვილის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების მესამე კვარტლის ანგარიშის მოსმენა მიღებულ იქნას ცნობად.

მე-3 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

მოისმინეს 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის თორნიკე ჯანაშიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი მომზადდა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ. ისაუბრა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტზე, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ, ბიუჯეტით გათვალისწინებული ,,სხვა ხარჯების" მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ასევე საჯარო მეხელეების თანამდებობრივი სარგოების 10%-ან ზრდაზე.

მომხსენებელმა ასევე გააკეთა მოკლე მიმოხილვა მუნიციპალიტეტის სოფლებსა და ქალაქის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ სოფლებში მიმდინარეობს და მომავალშიც განხორციელდება სკოლამდელი საამღზრდელო დაწესებულებების მშენებლობა, ასევე მან აღნიშნა რომ, მერიის სწორი გათვლებისა და მუშაობის შედეგად მარტვილის მუნიციპალიტეტს რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოეყოფა 4000000 (ოთხი მილიონი)-მდე თანხა რაც მისასალმებელია.

თანამომხსენებელმა ბონდო თოფურიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის განმარტებითი ბარათი, 2024-2027 წლების

პრიორიტეტების დოკუმენტები, კაპიტალური ბიუჯეტის დანართი, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა) იპ-ების შემოსულობების გადასახდელებისსა და ნაშთის ცვლილება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული და ქვეპროგრამის განმახორციელებელი ორგანოების ნუსხა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო შესაბამისი კომისიის დასკვნა და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დასვეს კითხვები და მიიღეს შესაბამისი პასუხები, შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 19, წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 4.

დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №18 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-4 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

მოისმინეს 4. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებულ გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსის როლანდ წულაიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და შესაბამისი დადგენილიბის პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო შესაბამისი კომისიის დასკვნა და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ელდარ თოდუამ აღნიშნა, რომ როგორც კომისიის სხდომაზე მან დააფიქსირა თავისი აზრი, რომელიც ეხება, სტუდენტების დაფინანსებას, რომელთა ოჯახის წევრები სარგებლობენ სოციალური დახმარებით, სტუდენტი ფაქტიურ მისამართზე ცხოვრების გამო ვერ სარგებლობს შესაბამისი დახმარებით და მიზანშეწონილად მიაჩნია შესაბამის მუხლს, სადაც მითითებულია ფაქტიური საცხოვრებელი ადგილი, შეიცვალოს ფაქტიური და რეგისტრირებულით.

საკრებულოს წევრებმა კითხვით მიმართეს, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსს როლანდ წულაიას თუ

რამდენად სწორად მიაჩნია ზემოთ წამოყენებული წინადადება, რაზეც როლანდ წულაიამ უპასუხა, რომ საკითხის ირგვლივ მსჯელობა სწორად მიაჩნია და გასათვალისწინებელია საკითხის მიმართ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნის გათვალისწინება.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული ინიციატივა დასვა კენჭისყრაზე.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 27, წინააღმდეგი 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი სტუდენტების დაფინანსებასთან დაკავშირებით ინიციატივის გათვალისწინებით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №19 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-5 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.
მოისმინეს 5. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ ბონდო თოფურიას მოხსენება, „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ბონდო თოფურიამ, საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და შესაბამისი დადგენილების პროექტი, რომელიც ეხებიდა საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების 10%-ან ზრდასასევე სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო შესაბამისი კომისიის დასკვნა და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 19, წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 4.

დაადგინეს: დამტკიცდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/„მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №20 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-6 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

მოისმინეს 6. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო შესაბამისი კომისიის დასკვნა და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 19, წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 4.

დაადგინეს: დამტკიცდეს „,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №21 სხდომის ოქმს თან ერთვის.

მე-7 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

მოისმინეს 7. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის თორნიკე ჯანაშიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და შესაბამისი განკარგულების პროექტი, სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო შესაბამისი კომისიის დასკვნა და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 19, წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 4.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის განკარგულება №40 სხდომის ოქმს თან ერთვის./

მე-8 საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.
მოისმინეს 8. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;
მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო შესაბამისი კომისიის დასკვნა და განკარგულების პროექტი და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 19, წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 4.
დაადგინეს: დამტკიცდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი წარმოდგენილი სახით.
/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის

დაშვებაზე მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის განკარგულება №41 სხდომის ოქმს თან ერთვის./

9-ე საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 27-მა წევრმა.

მოისმინეს 9. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ლევან სურმავას მოხსენება, ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო შესაბამისი კომისიის დასკვნა და განკარგულების პროექტი აღნიშნულ საკითთან დაკავშირებით და საკრებულოს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ.

აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დასვა კენჭისყრაზე
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე 19, წინააღმდეგი 0. თავი შეიკავა 4.

დაადგინეს: დამტკიცდეს ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი წარმოდგენილი სახით.

/,,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 მაისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის დადგენილება №22 სხდომის ოქმს თან ერთვის./

ამის შემდეგ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ლევან სურმავა